№ 7. იანვრის 10, ხუთშაბათი. 1866—1885 იანვრის 10, ხუთშაბათი. № 7.

# დროება

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ., სრულად უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა-ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზედ“

1885 წლისათვის

თბილისში — „დროების“ რედაქციაში; ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მოსე ნათაძესთან; თელავში — ვანო როსტომაშვილთან; გორში — ალადრო თუთაევთან.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით შვიდი მანათი, ნახევარ წლით ოთხი მანათი. დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

იქვე და იმავე პირებთან, რომელნიც ზემოდ არიან გამოცხადებულნი, მიიღება აგრეთვე ხელის-მოწერა ჟურნალს

„ივერიაზედ“

ვინც ცალკე დაიბარებს მთელის 1885 წლით ჟურნალს «ივერიას», უნდა გამოგზავნოს წლის ხელდრი ფული შვიდი მანათი (სოფლის მასწავლებელთათვის ხუთი მანათი) „დროების“ რედაქციაში ამ ადრესით: Въ Тифлисъ, въ Редакцію «Дроэба».

ვისაც უფრო ემარჯვებოდეს შეუძლიან «დროება» და «ივერია» ერთის წერილით დაიბაროს და ამისთვის ხელდრი ფული 16 მანათი გამოგზავნოს «დროებისვე» ადრესით.

რედაქტორი «ივერიისა» ილია ჭავჭავაძე.

ქადაგებანი

იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისა, ორი ტომი, ისყიდება თბილისის ყველა წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე ქუთაისისაში. ფასი თვითო ტომისა მანათ-ნახევარი. თბილისის და ქუთაისის გარეშე მცხოვრებნი პირნი დაიბარებენ ქადაგებათა ამ სახით: въ Тифлисъ, въ Кавказсскую книжнюю торговлю Грикурова, ან въ Кутаисъ: въ канцелярію Епископа. (16—3)

### რედაქციისაგან

ჩვენის ძველის ხელის-მომწერლებისაგან ყოველ დღე მოგვდის საყვედური, რატომ ახალი წლიდამ გაზეთს აღარ გვიგზავნითო. ამ საყვედურის ასაცილებლად უნდა ვაცნობოთ ჩვენს მკითხველებს, რომ გაზეთს ვერავის ვერ გავუგზავნით, ვიდრე გაზეთის მიღების სურვილს არ გამოგვიცხადებენ. ამას იმიტომ ვხადით საჭიროდ, რომ არავინ იფიქროს, ვითომც გაზეთის დაბარებას ძალად ვკისრებინებდეთ ვისმე.

### შინაური ქრონიკა

= გამოჩენილი მხატვარი ზიჩი, რომელმაც ისეთის თავაზიანობით უსასყიდლოდ იკისრა „ვეფხვის-ტყაოსნისათვის“ სურათების ხატვა და რომელსაც გაეგზავნა სრული ფრანცუზული თარგმანი პოემისა შინაარსის გასაცნობად, როგორც შევიტყეთ, შესდგომია კიდეც ამ სურათების ხატვას.

= მკითხველს იქნება დავიწყებული არა ჰქონდეს ჩვენი საქმე სასამართლოს ბოქაულ წულუკიძესთან იმ კორესპონდენციების გამო, რომელნიც „დროებაში“ თ-დის მაიხოსრო გელოვანისაგან ხელ-მოწერილნი იბეჭდებოდენ. ჩვენთან დავის ატეხის გარდა ბ-ნმა წულუკიძემ შეიტანა აგრეთვე საჩივარი თ. მაიხოსრო გელოვანზე ცილის-წამებისათვის. ოლქის სასამართლოს ეს საჩივარი უყურადღებოდ დაუტოვებია.

= ბათუმიდამ გვაცნობებს ჩვენი კორესპონდენტი, რომ ყოველ ბათუმისა და ყარსის ოლქის მცხოვრებს საშუალო რიცხვით მხოლოდ სამიდამ-ხუთს დესიატინამდე მიწა შეხვდებათ თურმე იმ ოქმების ძალით, რომელნიც ოსმალეთის მთავრობისაგანა აქვთ მიცემული და დამტკიცებული.

= სახემწიფო ქონებათა სამინისტროს სანდო კაცი, რომელიც განსაკუთრებით იმიტომ არის გამოგზავნილი კავკასიაში, რომ შეჰკრიბოს ნამდვილნი ცნობანი სახელმწიფო გლეხთა ყოფა-ცხოვრებაზე, აპირობს ამ საქმეში მოიწვიოს ადგილობრივნი განათლებულნი პირნი და მათ მიანდოს სოფელ-სოფელ სიარული და ნამდვილ ცნობათა შეკრება. ეს პირნი ზაფხულობით ივლიან სოფლებში, შეაგროვებენ მასალას და მერე ზამთრის ოთხის თვის განმავლობაში თბილისში შეიმუშავებენ.

= თბილისის მალაკნებს უთხოვნიათ ქალაქის გამგეობისათვის, რომ მან გახსნას მათთვის მალაკნების უბანში პირველ-დაწყებითი სასწავლებელი და ამასთანავე გამოუცხადებიათ, რომ სახლს სკოლისათვის ჩვენ თვითონ ჩვენის ხარჯით დავიქირავებთო.

= გაზ. «კასპის» სიტყვით, ბ. ნოვოსელსკი, ნობელი და ამის გამგებელი ყოფილან ფოთში, უნახავთ ფოთის ნავთ-სადგური და ნობელს უთქვამს, რომ ჩემს აპერაციებს ტყიბულის ქვა-ნახშირის წარმოებისა და ნავთის საქმის შესახებ აქ ვაწარმოებო. გაზ. „ნოვ. ვრემია“ ამბობს, რომ ეხლა, როცა პორტი უკვე გათავებულია თითქმის, საჭიროა ნავთის აუზი გაიმართოსო, თორემ უამისოდ ძნელი იქნება ამ აპერაციების გაძლიერებაო. ხოლო, როცა შემდეგ ეს აპერაციები ძალიან გავრცელდებიან, მაშინ თვით ფოთელები მალე დარწმუნდებიან და აღიარებენ, რომ ის მილიონები, რომელნიც დაიხარჯა პორტის გაკეთებისათვის ტყუილად არ იქმნენ გადაყრილნიო.

### კახეთის ავი და კარგი.

(დასასრული *)

მოგვყავს მეორე ფაქტი კიდევ: ერთი სიღნაღის მოვაჭრე მ—ვი,

*) იხ. „დროება“ № 6.

---

«დროების» ფელეტონი, იანვ. 10-ს

### ახალი-წელი

მიჰქრის დრო, მიჰქრის... შეუწყვეტლად წელი-წელს მისდევს...
აწმყო ინთქება წარსულში, ვით მდინარე ზღვაში...
და ყველა ღიმით ეგებება იანვრის პირველს,
ყველას იმედი ელვარებს აღგზნებულს თვალში...

—

ერიც და ბერიც ლხინობს ამ დღეს, დღესასწაულობს,—
„ახალი-წელი მომილოცავს“ მიდამო ისმის,
და სანუკარი ნეტარება გონებას უხშობს,
მომლხენთა—ათრობს, როგორც ოთქლი კახურის ღვინის...

—

მე კი გულ-გრილად ვეგებები ყოველს ახალს-წელს:
რა უნდა მომცეს მან ახალი, რაც არ მინახავს?
შრომას, ოფლის-ღვრას, ბრძოლას უსწორს და დაუღლეველს,—
აი, რასაცა წარმოდგენა ნათლად მიხატავს...

—

დრო მიდის, და თან სიჭაბუკის მას ძალა მიაქვს...
უცხო მხარეში, სამშობლო მთებს მოშორებული,
სიცოცხლის ლონე ჩემი წვრილმანს უნდება ბრძოლას,
გული ცივდება მძაფრს ჰაერში სხივ-მოკლებული...

—

დრო მიდის... და ჩემს მკერდს აღგზნებულს ცეცხლისა ალმურს
გხედავ დღით-დღე თვისი სითბო ვითარ აკლდება,
გხედავ გულის-თქმას, ტკბილს ოცნებას განადგურებულს,
და ვგრძნობ მათ წილად გულში ზაფრა ვითარ იზრდება...

—

და როს სამშობლოს ფრთებს ქვეშ თავსა მე შევიფარებ,
როს მის ბუნებას კვლავ გიხილავ ტურფას, მომხიბლეველს,—
მაშინ, ვინ იცის, მე ულონო ვით მოვაგვარებ,
ვით მივსცემ მოძმეს დასუსტებულს და მთრთოლვარე ხელს?!..

—

რად შევეგებო, მაშ, ხალისით ახალსა-წელსა?..
დე, მან ილხინოს, გაღიმებულს ვინცა ბედს ხედავს!
მე კი მღერის წილ დავღვრი უხვად ცრემლის მილებსა,
გამოვიტირებ უნაყოფოდ დალეულს ძალას!!.

დიმ. გრემელი.

1884 წ.

### ღვთის რისხვა

ოსური ლეგენდა *)

(დასასრული)

III

ზაფხულის მშვენიერი, მთვარიანი საღამოა. რაცა ხანია, საქონელი შერეკეს ბაკებში და ღრმა სიჩუმემ, იდუმალობამ მოიცვა პატარა საბატონო ყიყოსი, საბატონო, რომელიც ამ წინა დღეებში კინაღამ ჯარების მსხვერპლი არ გახდა. მთანი, რომელნიც შემორტყმოდენ თიბს ლობესავით, თავის გაბრწყინებული თოვლიანი წვეროებით თითქმის ცას ებჯინებოდენ და რაღაც დაღვრემილი სახით გასცქეროდენ ყიყო ტოტოშვილის ხაძარს, რომლის წინაც, განიერ ტოტებიან მუხის ქვეშ შეყრილიყვნენ თიბელები და რაღაზედაც ცხარედ ბაასობდენ... ჩუმი ლაპარაკი ჩქარა იქცა საერთო ყაყანად, რომელსაც ახლომახლო ხევები და გამოქვაბულები ყრუ-ხმით და დინჯად იმეორებდენ...

— „იარაბი“! *) რასაკვირველია, ყიყო ტოტოშვილი, რომლის წინაპართაც ერთხელ ეჭირათ მთელი შა-

*) იხილე „დროება“ № 6

*) ჰაი, დედი-ჩემის ღმერთსა.

შეუჩნდა ერთს აქაურსავე მცხოვრებელს სახაზინო გლეხს ბიო ტილაშვილს—„შენი სახლი დუქნად მაქირავე“. გლეხი დათანხმდა და აქირავა დუქნად თავისი საკუთარი სახლი, აშენებული სახაზინო—საზოგადო მიწაზედ. მ—მ ფეხი მოიდგა მაგრად და შემდეგ ქირაც აღარ მისცა გლეხს! გლეხმა რამდენჯერმე მოსთხოვა მ—ოს, რომ დაეცალა გლეხის სახლები. როდესაც პატიოსნურმა ქცევამ და მოყვრობამ მ—ზედ არავითარი გავლენა არ იქონია, მაშინ სასამართლოს მიმართა გლეხმა. ამ რამდენიმე თვის წინედ მოვიდა აქ სახემწიფო ქონებათა გამგეობის განკარგულებით ამ საქმეების გამოსაძიებლად აქაური სახაზინო მამულების გამგებელი და გამოიძია ორივე გმირების საქმეები. თუმცა „შუბი ხალთაში არ დაიმალება“, მაგრამ მ—მ მაინც თავის საკუთრებად უწოდა, როგორც გლეხის საკუთარ შენობას, ისე სასახლე და მიდამო ადგილს ანუ გლეხის ეზოს. მაგრამ მ—ოს ტყუვილს მოკლე ფეხები ჰქონდა, გამოძიება სადმე გარეშე სასამართლოების დაწესებულებაში არა ხდებოდა, ანუ კარ-ჩაკეტილ „კაბინეთში“, რომ თ—ქოს ტყუვილს ფართო გზა მისცემოდა!!—გამოძიება ხდებოდა საჯაროდ ხალხში...

ხალხის გროვა ალყად იყო აქ გარ-შემორტყმული. როდესაც მ—აგან ის საზიზღარი ტყუილი გაიგონა, ხალხი შეძრწუნდა და გაიმეორა თუ არა კიდევ მ—ომ სიცრუე, ერთბაშად გრგვინვასავით მოისმა ხალხის ხმა: „მ—ქო! სთქვი სიმართლეო“. აქ კი სიმწარის ოფლმა დაასხა მელქოს და გულ-ახდით აღიარა თავისი სიმუხთლე, გამოტყდა და სთქვა—„მართალია, ეს სახლი და ადგილიც გლეხებს ეკუთვნისო, ჩემი მხოლოდ ოთხი ქვევრიაო.“

წავიდა თუ არა გამგებელი, მ—ქომ ძმა დაადევნა უკან თელავში. გავიდა ერთი კვირა ე. ი. ის ვადა, რომლის შემდეგაც პირობისამებრ მ—ქოს სახლი უნდა დაეცალნა, მაგრამ მან აზრადაც აღარ გაიტარა სახლის დაცლა!! ენკენისთვის 11-ს მოუვიდა მამასახლისს ბძანება გამგებლისაგან № 145-ით, რომლითაც სწერდა—„რადგანაც სიღნაღის მოვაჭრემ მ—ქო თ—ემა თვითონვე აღიარა სიმართლე და სთქვა, რომ სახლი გლეხს ეკუთვნის, გარდა ოთხიოდ ქვევრისა, და რადგანაც პირობაც მომცა ერთი კვირის განმავლობაში დაუცლი გლეხს თავის სახლებსაო, ამისათვის მოგიწერ დაუყოვნებლივ დააცლევინო გლეხის სახლები და ადგილი მოვაჭრე მ—ქო თ—ვს და ჩააბარო მეპატრონე გლეხს ბიო ტილაშვილს; ხოლო თ—ვს მიეცით თავისი ქვევრები და სხვა თავისი ნივთი“. აი, მას აქეთ გადის ოთხი თვე და მელქო ჯერაც არა ფიქრობს სახლების დაცლას!.. მ—ქოს ქრთამების იმედი აქვს, მაგრამ...

მაგრამ საქმის შეჩერება და მართლ-მსაჯულობის დაგვიანება კი ძლიერ გვაკვირვებს: ჩვენ ვუყურებთ ამ საქმეს და ვეცდებით მკითხველს შევატყობინოთ, როგორ მოიქცევა ამ შემთხვევაში სახემწიფო გამგეობა და რა ქომაგობას გაუწევს მოტყუებულ გლეხობას...

×

ახალ-სოფელში ჯერ არ არსებობს სასოფლო დუქანი, დეპო; თუმცა გახსნას ეპირებიან, მაგრამ საქონლის გამოწერა აფიქრებს გამოუცდელებს ვაჭრობაში და არც იმისთანა პირი ჰყავთ თბილისში, რომელსაც გულით ენდოს საქონლის სყიდვაში და გამოგზავნაში ხალხი და ეფიქრებათ, ვაი, თუ ისევ ს—ხ მოვაჭრეების ხელში ჩავცვივდეთო...

ჯერ არც სკოლა არსებობს აქ, თუმცა სკოლის ხარჯს კი იხდიან მცხოვრებლები კომლზედ თითო მანეთს.—სად და ვისთან მიდის ეს ფული ამდენი ხნის განმავლობაში, არავინ იცისო...

ზოგიერთი აქაური ბავშვები სწავლობენ საცხენისის სასწავლებელში (დაწესებული ფასით) რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთით ორ ვერსნახევრის სიშორეზედ; შუაში ამ ორ სოფელს ჩამოუდის გიჟ-მაჟი მდინარე „შორე-ხევი“ რომელიც ძლიერ ხელს უშლის მოსწავლე ბავშვების სიარულს... მეტადრე ზამთარში და ცუდს ამინდებში. გარდა ამისა საცხენისის სასწავლებელი, როგორც აქაურს, ეგრეთვე ახლო მახლო საზოგადოების მცხოვრებლებს აგრე რიგად არ მოსწონთ, რომ ხსენებულ სასწავლებელში ასზედ მეტი მოზარდი ქართველობა სწავლობს და ქართულს ენას კი არა სწავლობენ.

მეთვალყურე.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ყველა ფრანცუზული გაზეთების ყურადღება ამ ჟამად ისევ სამხედრო მინისტრის გადაყენებაზეა მიპყრობილი. თუმცა ამ მინისტრისათვის უმაღლეს საფრანგეთის მმართველობას არავითარი ძალა არ დაუტანებია, რომ მას მინისტრის პორტფელი დაეგდო, მაგრამ ამის სამსახურიდამ გამოსვლას მაინც «გადაყენება» უნდა ვუწოდოთ, რადგან ის ვერ მოურიგდა მთავრობას და უმეტესად მინისტრთა თავს-მჯდომარეს ჟულ ფერის. მე ვკიცხავო, უთქვამს ნამინისტრალს ერთის გაზეთის თანამშრომელისათვის, არა მარტო კოლონიალურს პოლიტიკას ჟულ ფერისას, არამედ მთელს მისს გარეშე პოლიტიკასაც. „ზ. თავს-მჯდომარე ძლიერ სცდება, როდესაც თ. ბისმარკის ნებას მიჰყვება. თქვენ ხედავთ, რომ გერმანიის კანცლერმა წაგვჩხუბა ჩვენ იტალიას და ესპანიას და ეხლა სწადის ინგლისიც გადაგვემტეროს. მე მუდამ იმ აზრისა ვიყავი და ვარ, რომ ეხლანდელს მდგომარეობაში, ჩვენთვის საჭიროა თავდარიგი, მზადება ბრძოლისათვის, მაგრამ ბრძოლისათვის დედამიწის ოთხსავე კუთხეში-კი არა—საჭიროა მზადება ბრძოლისათვის თვით ევროპაში და ვისთან—ეგ თვით თქვენ უწყით... ჩინეთის ექსპედიცია, განაგრძობდა ნამინისტრალი, აუარებელს ხარჯს გამოიწვევს. მე თვით ვიღებდი მონაწილეობას ჩინეთის პირველს ექსპედიციაში. მაშინ ჩინელები არც შეიარაღებულნი იყვნენ რიგიანად და არც გამართული რაზმი ჰქონდათ ეხლა კი სულ სხვაა. 1860 წელს, პირველს ექსპედიციაში ჩინეთის წინააღმდეგ, ჩვენთან ერთად იყო ინგლისი—ეხლა-კი ინგლისი, ბისმარკის წყალობით, ჩვენი მტერია თითქმის. ჩინეთს იდუმლად ხელს უმართვენ ინგლისი და გერმანია—ესენი თავიანთ აფიცრებს ჰგზავნიან ჩინელების ჯარში. ჩინეთის მხედრობა ეხლა თითქმის თანაბარია ევროპის დახელოვნებულის მხედრობისა. მაშასადამე ჩვენ დიდი წინდახედულობა გვმართებს, თუმცა არ ვეჭვობ, რომ გამარჯვება საფრანგეთს დარჩება. მე მეტად მაწუხებს ჟულ ფერის პროექტები, თუმცა, როგორც ჭეშმარიტს მამულის-შვილს მსურს წარმატება ამ პროექტებისა, მაგრამ აქედამვე ვამჩნევ, რამდენად საშიშია საფრანგეთისათვის ამ გვარი პროექტები. ჩვენ შევუთანხმდით, გავყევით გერმანიის ნებასა და არ ვამჩნევთ-კი რა მრუდე კვალს დავადექით: გამბეტა არასოდეს არ გაჰყვებოდა ასეთს კვალს“.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

იანვრის 8-ს

**კიევი.** მდ. დნეპრის სანაოსნო საზოგადოების დირექტორად ნამ-

---

ვის ზღვის კიდენი, არ იზამს, რომ დაიფაროს და დაინდოს იმისთანა შვილი, რომელმაც ქალის გულისათვის გაჰყიდა სოფელი ჰყვიროდა მოთავე...

— ძალიან მართალს ამბობ ციყო, სთქვა ერთმა, გინდ შენი შვილი იყოს, გინდ სხვა ვინმე, ჩვენ არ უნდა დავუთმოთ ის უპატიურება, რომელიც მან თავის მოქმედებით მიაყენა ჩვენს მამა-პაპათ ღირსებას და ღირსეულადაც უნდა დავსაჯოთ.

— ჩვენ ეხლა მხოლოდ ის გადავწყვიტოთ, დაიწყო ისევ ციყომ, რა სასჯელი უნდა დავუნიშნოთ ჩემს შვილს. თანახმა გავხდები თიბელების გადაწყვეტილებისა.

— მაგასაც მოვიგონებთ, დაიწყო სავიმ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ დედა თავს იკლავს:—აპატიეთ ჩემს საცოდავ ფიროზას, იმის მეტი შვილი არა მყავსო!...

— შორს, გიაურ! შეჰყვირა ციყომ, რა ხელი აქვს დედა-კაცს, მონაწილეობა მიიღოს მამა-კაცების საქმეში? — აჰი, იარაბი! იყო ერთი დრო, როცა დედა-კაცს თავის სიცოცხლეში ერთს სიტყვასაც არ ამბობდა სახლში, ისე ჩადიოდა სამარეში, მაგრამ ეხლა ჩვენს ახლო-მახლო რაღამაც... დაიბანაკა... რა სასჯელი მოვუნახოთ ფიროზას: დავხვრიტოთ თუ მოვკლათ?

— არა, სჯობია „აბრაგად გავაგდოთ“! წამოიძახა სავიმ.

— აბრაგად, აბრაგად! შეჰყვირა ყველამ ერთ ხმით.

ამის შემდეგ მიიყვანეს ხელ-ფეხ გაკრული ფიროზა ახლო ძეართან (სალოცავთან) და „დეკანოზმა“ დასწყევლა იგი პაჩილის წყევლით...

— დაიწყევლოს სახელი შენი! დინჯად ამბობდა „დეკანოზი“. ვიდრე ქვა ჰგორდებოდეს დაღმართზე და მდინარემ არ მოსწყვიტოს თავისი სიარული,—გამრავლდებიან შენი ტანჯვანი...

ამის შემდეგ მამამ მისცა ფიროზას მშვენიერი ცხენი, თოფ-იარაღი და გაისტუმრა შემდეგის სიტყვებით: „გასწი გიაურ! ამის შემდეგ შენი ხანჯალი ნურავის დაინდობს, ნურც ნათესავსა და ნურც უცხოს...

მოშორდა საცოდავი ფიროზა საყვარელ თიბს, იმ თიბს, რომელშიაც დაიბადა, აღიზარდა და სცხოვრებდა იმ დღემდე; მოშორდა იმ ჯადოსნურ ადგილს იმ მოხუცებულ მთების კიდეთ და იმ ამწვანებულ მინდვრებს, რომლებზედაც იგი პატარაობისას აძოვებდა ხოლმე თავის დასთან ერთად ციკნებს; გამოეთხოვა იმ ალაგს, საცა იმყოფებოდა ის მშვენიერი ქმნილება, რომლის გულისათვისაც იგი ჰყიდდა თავის თავისუფლებას და სამშობლოს;—ერთის სიტყვით, მოშორდა იმ ალაგს, საცა მას მოელოდა ბედნიერება და სიხარული მომავალში...

მოშორდა ფიროზა თიბს, თავის მამის კერას და შეიქმნა აბრაგად, ყაჩაღად. მის სახლს ეხლა შეადგენდა ყოველი მთა, ველი და ტყე; მისი საჭმელი იყო ძალადობით ნაშოვნი; მისი სურვილი იყო ეხლა მხოლოდ სისხლი და სისხლი, რომელიც მისთვის წარსულის უბედურის სიყვარულის სამაგიერო იყო; ამის შემდეგ ფიროზასთვის გაჰქრნენ ყველა ის წმიდა გრძნობანი, რომელნიც ისე იყვნენ აღგზნებულნი წინად მის გულში. ფიროზას დაავიწყდა ეხლა ნათესავნი; შებრალება განჰქრა მასში—ვინც გინდა შეხვედროდა, უეჭველად ყველა შეიქმნებოდა მისის სისხლიანის ხანჯლის მსხვერპლი...

### IV

...შუადღე გადავიდა და სიცხიანი ბრუთი-საბძლის არე-მარე უეცრივ შეიცვალა. ამ მთის გარემო ხევები საშინელ გულის ამათრთოლებელ სურათს წარმოადგენდენ: მოწმენდილიცა უცებ შეიმოსა შავის ჩადრით—ღრუბლები აირივნენ, და თითქო ერთმანეთს სიმაღლეში ეჯიბრებიანო, სიჩქარით მიჰფრინავდენ ღრმა და საშინელ ხევებში, სადაც სცხოვრობენ მხოლოდ „შეთნები“... ელვა საშინლად გახშირდა. ელვის ნაპერწკალნი იკლაკნებოდენ გველსავით და შემ-

ყოფმა დოპელ-მაიერმა, რომელ-საც ბრალდებოდა დიდ-ძალის ფულის გაფლანგვა და რომელიც გაიქცა კიევიდამ, ავსტრიიდამ მოსწერა წერილი გამომძიებელს, რომ ამ დღეებში მოვალ და მართლ-მსაჯულებას მივეცემი ხელ-შიო.

ბერლინი. იმპერატორი ვილ-ჰელმი ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა.

განზეიმი. აქ ქალაქს გარედ შე-იპყრეს ერთი კაცი, და იმის ნიშ-ნები ძალიან წააგავს იმ კაცის ნიშნებს, რომელიც რუმპფის მკვლელი ჰგონიათ. შეპყრობის დროს მან ესროლა რევოლვერი ჟანდარმს და ორს მცხოვრებელ-თაგანს.

ვენა. დეპუტატთა პალატაში წარდგენილ იქმნენ კანონთ-პროექ-ტები იმ ღონის-ძიებათა შესახებ, რომელნიც უნდა მიღებულ იქმ-ნენ სოციალისტების წინააღმდეგ.

პარიჟი. ის ხმა ვითომ იუსტი-ციის მინისტრი ოსმალეთისა მო-ვიდა აქ იმისთვის, რომ დაითან-ხმოს საფრანგეთი ქედივის გადა-ყენებაზე, მართალი არ არის. ჭემა-ფაშას ვალია — მოილაპარა-კოს ოსმალეთისა და ავსტრიის რკინის გზათა შეერთებაზე.

ლონდონი. „ტაიმსი“ მხნედ ლაპარაკობს საფრანგეთის გან-ზრახულებათა წინააღმდეგ ეგვიპ-ტის ფინანსების მოწყობის შესა-ხებ.

## ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც ტფი-ლისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საა-თამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნა-ლოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ. საბებიო, საქალებო და სა-ბავშვო ავადმყოფობის საწამლელად; ადამიანცი — 9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლელად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—სა-ხირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლელად; მტემ-ბორსკი 11—12 საათამდე სიფილი-სისა და სხეულზე გამოყრილი მუწუ-კების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამ-ლობისათვის; კორონა ორშაბათო-ბით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფო-ბათა წამლობისათვის 10—11 საათამ-დე; მინკევიჩი სამშაბათობით და პა-რასკევობით 9—10 საათამდე ხირურ-გიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინ-სკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორ-შაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამ-ლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკი-ვილის საწამლელად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყო-ფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბა-რათი ექმნებათ.

საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ევრმიშევი ამით აცხადებს, რომ ქ. ტფილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარ-სებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემო-ღებული არის მცხოვრებთა შელავა-თისათვის ღამღამობით მორიგად ყოფ-ნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ექიმები:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთ-შაბათობით და კვირაობით.

კორონა, სამშაბათობით და შა-ბათობით.

მელიქ-ფარსადანოვი, ოთხშაბა-თობით და პარასკევობით.

ბებიები:

ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

გაგინოვისა, ორშაბათობით, და პარასკევობით.

სტეფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქშისა. ხუთშაბათობით და კვირაობით.

## მაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება ტფი-ლისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 იანვრიდამ 1 თებერვლამ-დე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუ-სეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირ-ველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა— — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | 7 კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
6 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

## განცხადებანი

ვაძლევ გაკვეთილებს ყველა საგ-ნებიდამ, სხვათა შორის ქართულის ენიდამაც. ვამზადებ ყმაწვილებს საშუ-ალო სასწავლებელთათვის. ადრესი: „დროების“ რედაქციაში. (5—1)

ქართულ სკოლებში სახმარებელი რუსული ენის სახელ-მძღვანელო

„პირველი ნაბიჯი“

(Первый Шагъ)

შედგენილი ალნიაშვილის-მიერ, დღე-იდგან სრულიად თავისუფლადა და დაუბრკოლებლივ იქმნება მსურველ-თაგან ხმარებული, რადგან იგი „სა-ხალხო განათლების სამინისტრომ პირ-ველ-დაწყებით ქართულ სკოლებში სახმარებელ სახელ-მძღვანელოდ ღირ-სეულადა სცნა.“

ვინც იყიდის არა ნაკლებ 10 ეგ-ზემპლიარისა, 10% ნაკლებ დაეთმო-ბა და თუ იყიდიან არა ნაკლებ 50 ეგზ. 20% ნაკლებ დაეთმობათ.

Центральная книжная торговля; Головинскій проспектъ д. Мириманова. 3—3

---

დეგ მოისმოდა უფრო საშინელი ქუ-ხილი, რომელსაც სხვა-და-სხვა ხმე-ბით იმეორებდა არე-მარე.

სწორედ ამ დროს, ამ საშინელს და ჯოჯოხეთურს დროს, ბრუთი-საბძ-ლის ძირთან, ერთ ვიწრო ბილიკზე ცოლ-ქმარნი მიდიოდენ ცხენებით. ქმარს წამოსხმული ჰქონდა ნაბადი, რომლის ქვეშაც ცხენზე ბატკანი ეკი-რა: ეტყობოდა სალოცავად მიემგზავ-რებოდა რომელსამე ძუარში, მკითხა-ვის დაბარებისამებრ. ქალს ეცვა სქე-ლი ახალუხი *) და ზედ წამოსხმული ჰქონდა შალი. საშინელი წვიმა უშ-ხაპუნებდა პირისახეში მგზავრებს, რო-მელნიც ძლივს მიერეკებოდენ ცხენებს ვიწრო ბილიკზე... ერთ წამს შემო-ვარდა ხევში (რომლის გვერდზედაც იკლაკნებოდა ბილიკი) საშინელი ქა-რიშხალი, ბუნებამ დაუშტვინა გულ-საკლავად და ყმაწვილური კვნესა გა-მოისმა შორი-ახლო კლდეებიდამ...

*) ძველ დროში (ზოგან ეხლაც) ოსების ქალებს ახალუხები ეცვათ ხოლმე.

— დასწყევლოს ღმერთმა შენი სა-ხელი, შეითან! ამოოხვრასთან ერთად სთქვა მხედარმა და გადაჰკრა მათრახი ცხენებს, რომლებმაც სიარულს მოუ-მატეს...

ვინ არიან ეს ორი მხედარი?— თუმცა ეგრე ჩქარად არა, მკითხველო, მაგრამ კაცი იცნობდა ამ ქალში ყი-ყო ტოტოშვილის ქალს ზანოს და მხედარში— მის ქმარს, ნოგყავის ალ-დარის შვილს. ზანო ეხლა ის ზანო აღარ იყო, რომელიც მთელ მამისო-ნის ხეობაში მშვენივრად ითვლებო-და ამ რამდენიმე წლის წინედ. მისი პირისახე, რომელიც უწინ ვარდის-ფრად გამოიცქირებოდა, ეხლა თით-ქმის დაჭკნდა, მისი უწინდელი ცელქური და გიჟ-მაჟური მხიარულე-ბა ეხლა გაჰქრა, მისი გული სავსე იყო ათას გვარ დარდებითა. ალბად, საცოდავო ზანო, ეხლა შეი-ტყე, რა ბედი მოელის ქალს ოსი-ქმრის სახლში!..

ბრუთ-საბძლის გვერდზე სდგას მა-ღალი, ძალიან მაღალი კლდე, რო-მელსაც ხალხი აქამომდე „ღვთის რისხვის კლდეს“ უწოდებს. ამ კლდის წვეროზე აქამომდე იმყოფება ორი ქვა. ამბობენ რომ ერთი მათგანი არის ფირუზა და მეორე მისი და ზა-ნოვო. როდესაც ზანო თავის ქმარ-თან ერთად სალოცავად მიდიოდენ, ამ დროს გაჩნდა საიდამღაც აბრაგი, ზანოს ძმა ფირუზა და მისმა სისხ-ლით მოსვრილმა ხანჯალმა ბოლო მოუღო ზანოს ქმარსაო. ფირუზამ მოიქნია ხანჯალი ზანოზედაც, მაგ-რამ ამ დროს ხანჯალი შესდგა. ფი-რუზას გულმა, რომელიც აქამომდე გაქვავებული იყო, რაღაც იგრძნო; თითქო უცნაურმა ძალამ გაყინული გული გაუთბოო. ფირუზა, რომე-ლიც აქამომდე მხეცად ჩაითვლებოდა, ეხლა ზანოს საყვარლად შეიქმნა!... ღვთის რისხვა და დეკანოზის წყევლა აუხდა საცოდავ ფირუზას. „წაიყვა-ნა, ამბობს ხალხი, ფირუზამ ზანო, რომ ცოლად შეერთო, მაგრამ პირ-ველ ღამესვე ორნივე კლდის წვერო-ზე გაქვავდენ“...

ფირუზას მამა, დიდი ხანია, მოკ-ლულ იქმნა მტერთან ბრძოლის დროს, რომელმაც მეორედ აოხრა ტიბი, ხოლო დედა მისი, რა გაიგო შემაძრწუნებელი შემთხვევა, წავიდა მთებში და საშინელის ტირილით, რომელიც ხანდისხან ხარხარად გარ-დიქცეოდა ხოლმე, ეძებდა თავის ფი-რუზას და ზანოს... ბევრჯელ გადუ-ვლია მას „ღვთის რისხვის კლდის“ ძირზე, ხოლო ფირუზა და ზანო ერ-თად, მუნჯად გასცქეროდენ შავ-ბე-დიან დედას, რომელიც შემდეგ იქ-ცა ოლოლად და ეხლაც-კი ღამ-ღა-მობით თავის ყმაწვილისებური კივი-ლით გულს უწუხებს მსმენელს და ერთ წამზე მაინც ღრმად ჩააფიქრებს ხოლმე და მოაგონებს ძველ-დრო-ინდელს ლიდებულს ტიბს..

გიორგი ლიახველი.

ქ. თბილისი

ავტ.

მომზადება და გასყიდვა ხსენებულის წასასმელის წამლისა, რომელშიაც არა ვითარი კაცის ჯანისათვის მავნებელი ნავთიერება არ-ურევია, ნება — დართულია მოსკოვის საექიმო მმართველობისაგან საერთო სავაჭრო წესით.

„პერუინი“

წვენი პერუვინელ საბალზამო მცენარეთაგან, დიდის ხნიდამვე ყველა ქვეყნებში ცნობილი საშუალება.

ხშირის და ლამაზის წვერის გასაზრდელად.

წვენი, რომელსაც ამზადებენ პერუვინელ მცენარეთაგან, როგორც ვიცით, ზოგიერთა თმის საზრდელ და თმაზე წასასმელ წამლების არევით, იღებთ შესანიშნავს თვისებას წვერის თმის ძირის გამაგრებისთვის და საკვირველად სწრაფად ეხმარება მის ზრდას.

ეს საშუალება ისეთი ნამდვილი საშუალებაა,

რომ პერუინის ხმარებით თვით ახალ-გაზდა ყმაწვილებსაც კი რამდენსამე კვირის შემდეგ, ეზრდებათ მშვენიერი და ხშირი წვერი.

მრავალი სამადლობელი წერილები.

მოწმობენ განსაცვიფრებელს მოქმედებას, ფასი შუშისა 1 მან. 50 კაპ. ზაგზავნით იყიდება რუსეთის ყველა სააფთეკო მაღაზიებში.

უმთავრესი დეპო აქაურ—კავკასიისათვის ტფილისში საზოგადოება სააფთიექო საქონელითა და მასალით ვაჭრობასა და მისი განყოფილება ბაქოში. Ц. 19,475.

(10—8)



რამაშკა ბურელისა

საუკეთესო საშუალება აქამომდე ცნობილ საშუალებათა შორის.

უეცრად სწყვეტავს ყოველ-გვარ შინაურ მწერს, როგორც მაგ. შრიჭინებს, პრუსაკებს, ბაღლინჯოებს, რწყილებს, ჯიანჭველებს, ნამის ჭიებს და სხვ.

იგი მოქმედობს უეცრად,

არ შეიცავს არავითარ კაცის ჯანისათვის მავნებელს ნივთიერებას. რომ არავინ არ მოახერხოს თავად მიითვისოს ამ წამლის გამოგონება, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება გამომგონის ხელის-მოწერას, რომელიც ამ „რამაშკა ბურელის“ ყველა კოლოფზეა.

ფასი კოლოფისა 75 კაპ. და 40 კაპ.

იყიდება ყველა რუსეთის საუკეთესო მაღაზიებში.

უმთავრესი დეპო აქაურ—კავკასიისათვის არის ტფილისში „კავკასიის საზოგადოება სააფთიაქო საქონლით ვაჭრობისა და მის განყოფილებში ბაქოს. Ц. 19,485

(25—8)



# СВѢТОЧЪ
## ЕЖЕДНЕВНАЯ ПОЛИТИЧЕСКАЯ И ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

**выходитъ въ Москвѣ, безъ предварительной цензуры, съ 1-го января 1885 года.**

Сознательная потребность слѣдить изо дня въ день за тѣми явленіями политической и общественной жизни, которыя, быстро смѣняясь, оставляютъ за собою болѣе или менѣе глубокій слѣдъ, все сильнѣе и настоятельнѣе ощущается въ нашемъ обществѣ и съ высшихъ слоевъ его распространяется на низшіе. «**Свѣточъ**», имѣя программу общую со всѣми большими газетами, постарается удовлетворять этой потребности во всемъ ея объемѣ. Что касается направленія, выраженіемъ котораго служитъ критическая оцѣнка сообщаемыхъ фактовъ, то, избѣгая громкихъ словъ, редакція можетъ только обѣщать своимъ читателямъ, что «**Свѣточъ**» будетъ честно служить истинѣ.

**Подписная цѣна съ доставкой и пересылкой:** на годъ **7 руб.** на полгода **4 руб.**

**Требованія адресуются:** въ редакцію газеты «**Свѣточъ**» (Москва, Петровка, д. Кредитн. Общ., при типографіи **И. И. Родзевича**).



# ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1885 ГОДЪ.
# „РАДУГА“
## ТРЕТІЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ.

**Еженедѣльный иллюстрированный семейный журналъ литературы, изящныхъ искусствъ и общественной жизни.**

*50 нумеровъ въ годъ.*

Въ 1885 году „Радуга“ дастъ своимъ читателямъ рядъ романовъ, повѣстей, разсказовъ и стихотвореній исключительно изъ русской жизни, съ участіемъ выдающихся современныхъ русскихъ писателей.

**ИЛЮСТРАЦІИ** извѣстныхъ русскихъ художниковъ будутъ воспроизведены самымъ тщательнымъ образомъ, съ помощью новѣйшихъ открытій въ области графическихъ искусствъ. Гравюры будутъ исполнены въ лучшихъ русскихъ и иностранныхъ заведеніяхъ.

### БЕЗПЛАТНЫЯ ПРИЛОЖЕНІЯ ВЪ 1885 ГОДУ:

„Сцена“ приложеніе, „Аккордъ“ приложеніе, „Моды“ приложеніе „Салонъ“ приложеніе.

**СЦЕНА** ПРИЛОЖЕНІЕ: Театральное искуство. Критика. Драматическія пьесы для большой сцены и для любительскихъ спектаклей. Трагедіи. Драмы. Водевили—при участіи извѣстныхъ драматурговъ, какъ Викторъ Александровъ (Крыловъ) Невѣжинъ, князь Сумбатовъ и др. Провинціальная корреспонденція.

**АККОРДЪ** ПРИЛОЖЕНІЕ: Новости изъ музыкальнаго міра. Портреты выдающихся современныхъ композиторовъ и исполнителей. Отчеты о концертахъ. Критическія замѣтки. Къ каждому нумеру „Аккорда“ будутъ приложены также безплатно ноты для фортепіано и пѣнія: исключительно новыя пьесы, танцы, арранжировки изъ новыхъ оперъ и оперетокъ.

**Въ 1885 году въ журналѣ Сцена будутъ помѣщены Портреты русскихъ драматическихъ писателей и выдающихся артистовъ русской столичной и провинціальной сцены.**

**МОДЫ** ПРИЛОЖЕНІЕ: Иллюстрированныя парижскія моды. Текстъ и рисунки изъ Парижа, подъ редакціею Тіерри. Руководство для туалетнаго стола. Косметика. Домашній обиходъ. Домашнее хозяйство. Столъ.

Въ 1885 году будетъ открытъ новый отдѣлъ **ГИГІЕНА** Какъ жить здоровому и какъ помочь больному человѣку. Совѣты врача. При этомъ отдѣлѣ открытъ почтовой ящикъ для совѣтовъ. Пользоваться правомъ этого почтоваго ящика могутъ лишь гг. подписчики.

Въ 1885 году мы дадимъ Новое Безплатное Приложеніе, въ которое войдутъ:

**САЛОНЪ** ИЛЛЮСТРИРОВАННЫЯ ОБЩЕСТВЕННЫЯ УВЕСЕЛЕНІЯ: 1) Карты. 2) Общественныя игры. 3) Пасьянсы. 4) Хореграфія (танцы). 5) Шарады. 6) Ребусы. 7) Задачи. 8) Фокусы. 9) Эксперименты изъ области химія и физики. 10) Гимнастика. 11) Спиритизмъ. 12) Обширный шахматный отдѣлъ. 13) Стенографическій отдѣлъ. 14) Почтовый ящикъ для гласной корреспонденціи подписчиковъ между собою (право пользованія имѣютъ только подписчики журнала.)

### ВЕЛИКОЛѢПНАЯ БЕЗПЛАТНАЯ ПРЕМІЯ.

**По своему богатому содержанію, обнимающему всѣ явленія общественной жизни, „Радуга“ займетъ въ 1885 году безпорно первое мѣсто среди иллюстрированныхъ еженедѣльныхъ журналовъ.**

Редакція „РАДУГИ“ не жалѣетъ ни расходовъ, ни трудовъ, чтобы сдѣлать изъ своего журнала органъ русской семьи, и только быстро пріобрѣтенная популярность и значительное число подписчиковъ даютъ ей возможность, несмотря на низкую подписную цѣну, настолько увеличить программу журнала.

*Въ 1885 году „Радуга“ будетъ выходить аккуратно по четвергамъ*

**Подписная цѣна на 1885 годъ**

со всѣми приложеніями, съ пересылкою во всѣ города Россійской Имперіи только 5 руб. за границу—7 руб.; на 1/2 года—3 руб., за границу—4 руб.

Допускается разсрочка платежа годовой подписной цѣны: при подпискѣ 2 р. затѣмъ 1 марта 1 р., 1 апрѣля 1 р. 1 іюля 1 р.

Подписка принимается во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ. Гг. иногородныхъ просятъ адресовать: Въ редакцію журнала «Радуга», Москва.

Подписка принимается въ Тифлисѣ въ газ. агентствѣ **Шавердова.**

Редакторъ *Д. А. Мансфельдъ.*
Издатель *Л. Метиль.*

(5—4)



ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომყვანი — მაკ-მასტერი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—85)

აქვე იყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მნ., სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.